

## განმარტებითი ბარათი

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თაობაზე

საქართველოს კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“, რომელიც არეგულირებს სასაქონლო, მომსახურებისა და კოლექტიური ნიშნების რეგისტრაციასა და დაცვასთან, აგრეთვე გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, მიღებულია 1999 წლის 5 თებერვალს. წარმოდგენილი კანონპროექტი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ მიზნად ისახავს როგორც საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამის მიხედვით გათვალისწინებული ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებული ნორმატიული აქტების ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას, ასევე ზემოაღნიშნულ საქართველოს კანონის რედაქციულ და შინაარსობრივ სრულყოფას.

კანონპროექტი სრულყოფს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლიტურ და შედარებით საფუძვლებს, აღნიშნულ ურთიერთობებში აკონკრეტებს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების სამართლებრივ დაცვის უზრუნველყოფი ორგანოს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქპატენტის“ როლს.

კანონპროექტი რედაქციულად სრულყოფს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის II თავს, რომელიც ეხება სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მოპოვებასა და შენარჩუნებას, კერძოდ შესაბამისი ცვლილებით კანონპროექტი საშუალებას იძლევა უფრო ადვილად იქნეს აღქმული ის დებულებები, რომლებიც ეხება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე შეტანილი განაცხადის არსობრივ ექსპერტიზას, ექსპერტიზის გადაწყვეტილების გასაჩივრებას სააპელაციო პალატაში, სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციას. კანონპროექტის მიხედვით ცვლილება შედის მუხლში რომელიც ეხება რეესტრში ცვლილებების შეტანას და რომელიც საშუალებას იძლევა უფრო მეტად იქნეს დაცული როგორც შესაბამისი ასევე პოტენციური სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებები. ზემოაღნიშნული თვიდან ამოღებული იქნა მუხლი, რომელიც ეხება სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციას უცხო ქვეყანაში, რადგან საქართველო მიერთებულია საერთაშორისო კონვენციებს, რომელთა შესაბამისადაც რეგულირდება ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ურთიერთობები.

კანონპროექტი დამატებითი დებულებების შემოტანით აკონკრეტებს სასაქონლო ნიშნის გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

კანონპროექტი ითვალისწინებს ცვლილებებს თავში, რომელიც ეხება სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლებების დაკარგვას, კერძოდ

შემოდის დამატებითი ნორმები, რომელთა მიზანია უფრო მეტად იქნეს დაცული სასაქონლო ნიშნის მფლობელთა უფლებები სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების პირობების არსებობისას, რედაქციული სრულყოფილების მიზნით ახლებურად ყალიბდება ის ნორმები, რომლებიც ეხება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობასა და ბათილად ცნობის შედეგებს.

კანონპროექტი იურიდიული და რედაქციული თვალსაზრისით სრულყოფს დებულებებს, რომლებითაც რეგულირდება კოლექტიურ ნიშანთან დაკავშირებული ურთიერთობები.

კანონპროექტი ითვალისწინებს ცვლილებებს კანონის იმ თავში, რომელიც ეხება ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების პროტოკოლის მიხედვით სასაქონლო ნიშნების დაცვას.

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი, ხოლო კანონპროექტის ავტორია ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან „საქპატენტთან“ და ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპულ საკონსულტაციო ცენტრთან GEPLAC-თან ერთად.

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.